

შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება - მე-2 ფაზა

დაწყების თარიღი: 01.08.2014

დასრულების თარიღი: 30.09.2017

პროექტის აღწერა:

პროექტის საერთო მიზანია შავი ზღვის გარემოს დაცვის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროექტი ასევე მოიცავს შავი ზღვის გარემოს მონაცემების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივისა (MSFD) და წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) შესაბამისად; და პარტნიორი ქვეყნების უნარიანობის გაზრდა ზღვის გარემოს მონიტორინგის ეროვნულ დონეზე საწარმოებლად საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივისა (MSFD) და წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) პრინციპების შესაბამისად, „შავი ზღვის მეორე დიაგნოსტიკური ანგარიშში“ წარმოდგენილი უნარიანობის ამაღლებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

1. გაუმჯობესებულია სამეცნიერო და ტექნიკური თანამშრომლობისა და მონიტორინგის შესახებ ბუქარესტის კონვენციის დებულებების განხორციელება;
2. მხარდაჭერილია შავი ზღვის კომისიის მიერ კოორდინირებული რეგიონული საზღვაო გარემოს მონიტორინგის პროგრამის შექმნა და განხორციელება ევროკავშირის „საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის“ (MSFD), „წყლის ჩარჩო დირექტივისა“ (WFD) და 2009 წელს მიღებული „შავი ზღვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის“ (BS SAP 2009) შესაბამისად;
3. „ეროვნული საპილოტე კვლევების“ (NPS) ჩატარებისას დატესტილია განახლებული მონიტორინგის ეროვნული პროგრამები (NBSIMAPs) განსაზღვრული ძირითადი რეგიონული სადგურებისა და კვეთების ქსელში ტრანსსაზღვრო გარემოსდაცვითი პრობლემების დადგენის მიზნით;
4. გაუმჯობესებულია გარემოს მონაცემების მართვის შესაძლებლობები და გაზრდილია მონაცემთა ხარისხის კონტროლი ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე;
5. კიდევ უფრო განვითარდა „შავი ზღვის საინფორმაციო სისტემა“ (BSIS) და მოხდა მონაცემების უზრუნველყოფა შავი ზღვის გარემოს დაცვის მიმართულებით ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის მხარდაჭერის მიზნით, რაც ასევე ითვალისწინებს მხარდაჭერას ინდიკატორებზე დაფუძნებულ ანგარიშგებაზე გადასასვლელად, რომელიც უნდა დაინერგოს ეროვნულ დონეებზე;
6. გაზდილია საზოგადოებრივი ცნობიერება მაღალი ხარისხის საზღვაო გარემოსდაცვითი მონაცემების საჭიროების შესახებ და ხელშეწყობილია საზოგადოების ჩართულობა მონიტორინგის აქტივობებში სადაც ეს შესაძლებელია.

მიზნობრივი ტერიტორია: საქართველო, რუსეთი, უკრაინა

სფერო: წყლის რესურსები

დონორი:

ევროკავშირი (EU)

http://ec.europa.eu/index_en.htm

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

<http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/ourwork/overview.html>

განმახორციელებელი:

ორგანიზაცია: UNDP-ს სტამბოლის რეგიონალური ცენტრი ევროპისა და დსთ-თვის;

ტელეფონი: +90 850 288 22 06

მისამართი: Key Plaza, Abide-i Hürriyet Cd. İstiklal Sk. No 11, Şişli, 34381, სტამბოლი, თურქეთი

ვებ-გვერდი: www.eurasia.undp.org

საკონტაქტო პირი: ვლადიმერ მამაევი

ელ-ფოსტა: vladimir.mamaev@undp.org

მაილსტონები:

1. სემინარი ქ. ოდესაში (უკრაინა) შავ ზღვაში ბიოლოგიური მონიტორინგის მეთოდების შესახებ, რომლებიც გამოყენებული იქნება EMBLAS-ის ეროვნული საპილოტე მონიტორინგის კვლევებისა და ღია ზღვაში ერთობლივი კვლევების დროს;
2. ეროვნული საპილოტე მონიტორინგის კვლევები (NPMS) და ერთობლივი კვლევები ღია ზღვაში (JOSS)

ბიუჯეტი: 2 723 800 EUR